A- II დონე

ვიდეო-ნოველა Nicos Weg/ნიკოს გზა

DEUTSCHE WELLE-ს მიერ შექმნილი ვიდეო-ნოველა **NICOS WEG**/ნიკოს გზა მოგვითხრობს ნიკოზე ესპანეთიდან, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს გერმანიაში და ცდილობს გაერკვეს მის ყოველდღიურობაში.

ნიკოს გზა წარმოადგენს თანმიმდევრულად კურსს და გვთავაზობს პაკეტს, რომელიც მოიცავს მოკლე (1-2 წთ)ვიდეოებს სხვადასხვა თემაზე, მასთან დაკავშირებულ ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლ სავარჯიშოებს, გრამატიკულ ახსნა-განმარტებებს, ასევე ინტერკულტურული კომპეტენციის ასამაღლებელსა და ინტერაქციულ სავარჯიშოებს და ხელს უწყობს ენის შესწავლას A1-დან B1-ის ჩათვლით. მასალებს თან ერთვის **დონის განმსაზღვრელი** და დასასრულს კი **შემაჯამებელი ტესტი.** ონლაინ დავალებებთან ერთად შესაძლებელია ასევე დამხმარე სამუშაო ფურცლების, თამაშებისა და პედაგოგებისათვის ინსტრუქციების ჩამოტვირთვა. მასალების **ჩამოსატვირთვას შესძლებთ აქ.**

AII დონე მოიცავს **76** გაკვეთილს

თემების ჩამონათვალი:

- ფინანსები
- ოჯახი
- დიგიტალური ცხოვრება
- სად ცხოვრობ?
- უწინ და დღეს
- დღესასწაულები და ა.შ.

მიზნები:

მასალები იდელურად შეავსებს სასწავლო პროცესს და მათი დახმარებით თქვენი მოსწავლეები შესძლებენ:

- გაიმდიდრონ ლექსიკა და დონის შესაბამისად ისაუბრონ სხვადასხვა თემებზე
- განავითარონ მოსმენის უნარი
- ინტერაქტიული დავალებების საშუალებით შეისწავლონ და ივარჯიშონ სხვადასხვა გრამატიკულ მასალაზე და შემდეგ გამოიყენოს ისინი რეალობასთან მიახლოებულ სიტუაციებში
- ვიდეოების საშუალებით გაეცნონ გერმანულ ყოფას და აიმაღლონ ინტერკულტურული კომპეტენცია.

მოამზადა ხათუნა მჭედლიშვილმა